



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N03/207

13 / ნოემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებისა და "კულტურული მემკვიდრეობის" შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ებრძანებ:

- მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი:
 - საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის ტრადიცია _ ჟურნალი "დილა";
 - ცეკვა "ხორუმი";
 - მესხური ყველი "ტენილი" - ის დამზადების ტექნოლოგია.;
- დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა;
- ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმომადგენლის შესაბამისი დასკვნა ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე;
- ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. N7).

მინისტრი

ქ. თბილისი

მირიან ოდიშარია